

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

სხდომის ოქმი №56

ქ. თბილისი

04.12.2018

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის თავმჯდომარე, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, (სხდომის თავმჯდომარე);

თეო ურუშაძე - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის დეკანი, პროფესორი;

გიორგი ქვარცხავა - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

სოფიკო ლობჯანიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული დეპარტამენტის განათლების სკოლის ხელმძღვანელი;

გელა გელაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ელევთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი;

გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;

დიმიტრი ჯაფარიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი, წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე;

ირინე გოცირიძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ბიოსამედიცინო ინჟინერიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;

პაატა ბრეკაშვილი - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების დეპარტამენტის დირექტორი;

ნატო გენგიური - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის ტეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

ნათელა სახოკია - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის გამგეობის წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

მაია გელაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;

ნინო შიოშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები :

შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი:

ვახტანგ ლეჟავა - რექტორი;

მარინა ქარჩავა - პრორექტორი;

ირინა პოპიაშვილი - ვადსის დეკანი;

გურამ კაპანაძე - ვადსის კოორდინატორი;

ჯესი ვოგლერი - არქიტექტურის პროგრამის ხელმძღვანელი - ლექტორი.

ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი:

გაგა გაბრიჩიძე - სამართლის სკოლის დეკანი;

ელენე მამუკელაშვილი - კანცლერი;

მარიამ შოშიაშვილი - სერვისების განვითარების სამსახურის უფროსი.

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი:

სერგო ვარდოსანიძე - რექტორი;

ლევან ქისტაური - დეკანი;

დიმიტრი ნადირაშვილი - მიმართულების ხელმძღვანელი;

თეა გოგოტიშვილი - პროფესორი.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

ირმა გრძელიძე - ხარისხის სამსახურის უფროსი;

სსიპ - შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი:

ანა სამსონაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები:

თამარ ვეფხვაძე

ნინო გუნია-კუზნეცოვა

ეკატერინე ჩხუტიშვილი

თამარ ბერიანიძე

ნინო ბოგვერაძე

ვახტანგ ჟვანია

თათია უბერი

ნანა ბურდული
თამუნა იმნაძე
ნათია დადელიშვილი
ნანა ფირცხელანი
თამაზ გაბისონია
ნინო შოშიტაშვილი
ნინო ჟიჟილაშვილი

საბჭოს სხდომა დაიწყო 16:10 საათზე.

სხდომას ესწრებოდა საბჭოს 12 წევრი. სხდომას არ ესწრებოდნენ საბჭოს თავმჯდომარე და მისი მოადგილე, შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/5 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27² მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს წევრებმა კენჭი უყარეს სხდომის თავმჯდომარედ ლევან გორდეზიანის კანდიდატურას. მისი კანდიდატურა ერთხმად იქნა დამტკიცებული საბჭოს წევრების მიერ. აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით სხდომის მდივნის მოვალეობის შესრულება დაეკისრა საბჭოს წევრს, ნათელა სახოკიას.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/5 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27² მუხლის მე-5 შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27³ მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ხელოვნების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხს განხილვა;
2. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხს განხილვა;
3. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების მენეჯმენტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

5. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალვრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ ყოფილა წარმოდგენილი.

წმოდგენილი დღის წესრიგი ერთხმად იქნა დამტკიცებული საბჭოს წევრების მიერ.



1. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ვიზუალური ხელოვნების და დიზაინის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ვიზუალური ხელოვნების და დიზაინის საბაკალავრო პროგრამა
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ხელოვნების ბაკალავრი 08
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებით არსებულ დასკვნაში ასახულ გარემოებებზე.

ექსპერტმა, თამარ ვეფხვაძემ განაცხადა, რომ პროგრამა სხვა სახელოვნებო პროგრამებისაგან განსხვავებით მაქსიმალურად ორიენტირებული იყო პრაქტიკაზე. პროგრამა მოიცავდა ფერწერის, ინტერიერის დიზაინის და კომუნიკაციების დიზაინის პრაქტიკულ კონცენტრაციებს. პროგრამა ანიჭებდა ხელოვნების ბაკალავრის კვალიფიკაციას. პროგრამა ყველა სტანდარტის მიხედვით შესაბამისობაში იყო აკრედიტაციის სტანდარტებთან. ჯგუფის მიერ შემუშავდა მხოლოდ ერთი რეკომენდაცია და ერთი რჩევა, რომელიც ასახული იყო ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილ დასკვნაში.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რეკომენდაციის თანახმად კურსების სილაბუსებში უნდა დაზუსტებულიყო სასწავლო მასალების და ლიტერატურის ჩამონათვალი. კარგი იქნებოდა თუ კი ექსპერტები კონკრეტულად მიუთითებდნენ დასკვნაში თუ რომელი სილაბუსები იყო ნაგულისხმევი. პროგრამაში მოცემული იყო ორი ტიპის სილაბუსები, პროგრამულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული და სტუდიოები, შესაბამისად თუ კი დაზუსტდებოდა რომელი კატეგორიის სილაბუსები იყო მოახრებული სასურველი იქნებოდა. პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე ლიტერატურა გახლდათ მრავალფეროვანი და ლექტორი პერიოდულად აწვდიდა ინფორმაციას სტუდენტებს დასამუშავებელ ლიტერატურასთან დაკავშირებით. მიუხედავად აღნიშნულისა შესაძლებელი

იყო სილაბუსებში გაეწერათ კონკრეტული სახელმძღვანელოები. აღნიშნულ რეკომენდაციას დაწესებულება მიიღებდა მხედველობაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ინტერნაციონალიზაციის და საერთაშორისო თანამშრომლობის გაუმჯობესების რჩევასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მათი ორი სტუდენტი, Erasmus + პროგრამის ფარგლებში საფრანგეთში აგრძელებდნენ სწავლას, სტუდენტები ხშირად ესწრებოდნენ გამოფენებს საქართველოს ფარგლებს გარეთ, პროგრამის ერთერთი ლექტორი გახლდათ ამერიკელი. მიხედვად აღნიშნულისა დაწესებულება მზად იყო კიდევ უფრო მეტად ეზრუნა საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებაზე.

დაწესებულების რექტორმა განაცხადა, რომ პროგრამას წინა აკრედიტაცია მიღებული ჰქონდა ხელოვნების საბაკალავრო პროგრამის სახელწოდებით. 2016 წელს დაწესებულებამ იმისათვის რომ უფრო მკაფიოდ ყოფილიყო ასახული სკოლის შინაარსი, დოკუმენტურად განახორციელა ცვლილება და პროგრამას ეწოდა ვიზუალური ხელოვნების და დიზაინის საბაკალავრო პროგრამა. აღნიშნულ პერიოდში სავალდებულო აღარ იყო ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშების წარდგენა ცენტრისათვის. პროგრამაზე მიღების დროს აბიტურიენტებს პროგრამა მიეწოდებოდათ განახლებული სახელწოდებით. დაწესებულების წარმომადგენელს აინტერესებდა შესაძლებელი იყო თუ არა ხელახალი აკრედიტაციის მიღების შემთხვევაში პროგრამის სახელწოდება გადაწყვეტილებაში ასახული ყოფილიყო შეცვლილი სახით.

საბჭოს წევრმა, ნატო გენგიურმა განაცხადა, რომ პროგრამაში ისწავლებოდა „ეკონომიკის საფუძვლები“ და დაინტერესდა როგორ უკავშირდებოდა აღნიშნული საგანი პროგრამის კონცეფციას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული საგანი ისწავლებოდა პირველ კურსზე და გარკვეულწილად იწვევდა სტუდენტებში ერთგვარ პროტესტს, თუმცა მისი მოსაზრებით განათლებულ ადამიანს ფილოსოფიის დანაყოფს რაც წარმოადგენდა ყველაფერი უნდა სცოდნოდა მათ შორის ეკონომიკა. რაც შეეხებოდა კონკრეტულად პროგრამას, რომელიც გახლდათ დიზაინის კონცენტრაციების მქონე პირდაპირი შეხება ჰქონდათ მატერიალურ სამყაროსთან. ინტერიერის დიზაინერს უნდა სცოდნოდა ფასწარმოქმნის, მასალის, მოთხოვნა-მიწოდების საკითხები. სამომავლოდ კურსდამთავრებულების უმეტესობა იქნებოდნენ თვითდასაქმებულები და მათი მატერიალისტურ სამყაროსთან შეხება არ უნდა ყოფილიყო შოკისმომგვრელი. მათ უნდა ჰქონდეთ უნარი კომერციულად გამოეყენებინათ თავიანთი კომერციული იდეები.

საბჭოს წევრმა, ნატო გენგიურმა განაცხადა, რომ სასწავლო კომპონენტის ბლოკის სილაბუსების უმეტესობაში მითითებული იყო მხოლოდ ინგლისურენოვანი ლიტერატურა. მისთვის გასაგები იყო, რომ აღნიშნულ სფეროში ფაქტიურად არ არსებობდა ლიტერატურა ქართულ ენაზე. მას აინტერესებდა როგორ ხდებოდა აღნიშნული პრობლემის მოგვარება, საბაკალავრო დონეზე ყველა სტუდენტი ფლობდა თუ არა ინგლისური ენის მაღალ დონეს იმისათვის რომ ეხელმძღვანელათ ინგლისურენოვანი ლიტერატურით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულების მიდგომა ზოგადად ფარავდა აღნიშნულ საკითხს. დაწესებულებაში ზოგადად იყო მაღალი კონკურენცია და კორელაცია აბიტურიენტის მაღალ მოსწრებასა და ინგლისური ენის ცოდნას შორის იყო ძალიან მაღალი. მათი სტუდენტების 30% პროცენტზე მეტს ჩარიცხვისას უფიქსირდებოდათ ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე, ხოლო 50 % B1 დონეზე. ჩარიცხვამდე სტუდენტებს უტარდებოდათ დონის განმსაზღვრელი ტესტირება. გარკვეული ნაწილი ტესტირების შემდგომ თავისუფლდებოდა ინგლისური ენის შესწავლისგან ხოლო გარკვეულ

ნაწილს ეძლეოდა 7 კრედიტი ენის ცოდნის დონის ამადლების მიზნით. აღნიშნული არ შეეხებოდა მხოლოდ განსახილველ პროგრამას.

საბჭოს წევრი, ნათელა სახოკია დაინტერესდა მიღებისას სტუდენტებს უტარდებოდათ თუ არა სპეციალური გამოცდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სტუდენტებს მოეთხოვებოდათ პორტფოლიოს წარმოდგენა. პორტფოლიოები იტვირთებოდა ელექტრონულად და მათი გადახედვის შემდგომ იბარებდნენ სტუდენტებს გასაუბრებაზე. ადგილზე სტუდენტებს ეძლეოდათ შემოქმედებითი დავალება, რომელიც არ ფასდებოდა, უბრალოდ მოწმდებოდა მათ მიერ გამოგზავნილი პორტფოლიოების ავთენტურობა.

16:40 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება

სხდომა განახლდა 16:50 საათზე

საბჭოს გადაწყვეტა, რომ აკრედიტაციის დებულების 27⁵ მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე, პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების კანონიერი ინტერესებისა და უფლებების გათვალისწინებით, მიზანშეწონილი იყო, რომ აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2018 წლის 19 ნოემბრიდან, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო პროგრამის სტატუსის უწყვეტობა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ვიზუალური ხელოვნების და დიზაინის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და 3¹ პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-7 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ვიზუალური ხელოვნების და დიზაინის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2018 წლის 19 ნოემბრიდან.

2. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო დასახელება	პროგრამის	სამართალი
განათლების საფეხური		ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	კვალიფიკაცია	სამართლის ბაკალავრი 06
კვალიფიკაციის კოდის მითითებით		
სწავლების ენა		ქართული
კრედიტების რაოდენობა		240

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტებს მოახსენა, რომ საბჭო იცნობდა მათ დასკვნას, მასში ასახულ რეკომენდაციებს და ჰკითხა, ხომ არ სურდათ რაიმეს დამატება პროგრამის შესახებ.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს ჰქონდა განვითარების კარგი ხედვა. მან შენიშნა, რომ პროგრამაზე არ იყო ბევრი სტუდენტი, თუმცა აქვე ახსენა ეს ფაქტი იმით, რომ უნივერსიტეტი მეტ აქცენტს აკეთებდა სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე და აგრეთვე მათ ჰქონდათ საკმაოდ მაღალი ბარიერი ეროვნულ გამოცდებზე, რაც უზრუნველყოფდა უნივერსიტეტის მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტების ჩარიცხვასა და შემდეგში მაღალი ხარისხით სწავლას. თუმცა აქვე აღნიშნა, რომ სტუდენტთა ნაკლები რაოდენობა აისახებოდა შემოსავალზე, რასაც შეეძლო მდგრადობის პრობლემა დაეყენებინა პროგრამისათვის, თუმცა აღნიშნა ისიც, რომ უნივერსიტეტს ჰქონდა რესურსი, რომ ეწარმოებინა პროგრამა, თუმცა ექსპერტებმა მაინც მისცეს დაწესებულებას რჩევა, რომ მიეღოთ მეტი სტუდენტი პროგრამაზე.

საბჭოს წევრი, გელა გელაშვილი დაინტერესდა, თუ რამდენი იყო პროგრამის ბარიერი ერთიან ეროვნულ გამოცდებზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ბარიერი იყო 70% ინგლისურ ენაში და 40% ზოგად უნარებში.

ექსპერტმა ასევე დადებითად შეაფასა პროგრამის აკადემიური პერსონალი, სამართლის კლინიკის მუშაობა პრაქტიკული უნარების განვითარებაში და ასევე საბიბლიოთეკო რესურსები. ასევე, მისი თქმით, უნივერსიტეტში ხშირად ეწყობა საერთაშორისო კონფერენციები და სხვადასხვა ღონისძიებები, რომელთაც აქტიურად სარგებლობენ სტუდენტები.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ერთადერთი რეკომენდაცია შეეხებოდა იმას, რომ სილაბუსები ორგანიზებული ყოფილიყო პირადი ინტერესების, თვალსაზრისისა და კურსის სპეციფიკის მიხედვით, რაც უზრუნველყოფდა ლექტორის აკადემიური თავისუფლების დაცვას.

დაწესებულების წარმომადგენელმა რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი არ აძლევს დირექტივას პერსონალს იმის შესახებ, თუ როგორი სახით უნდა შედგეს სილაბუსები, თუმცა აღნიშნა, რომ შეიძლება ყოფილიყო უკეთესი თუ დაწესებულება გააუმჯობესებდა კომუნიკაციას საკუთარ პერსონალთან და წახალისებდა მათ აკადემიურ თავისუფლებას. სტუდენტთა ბარიერისა და რაოდენობის შესახებ კი მან აღნიშნა, რომ დაწესებულებაში თავადაც ხშირად დავობენ ამ საკითხთან დაკავშირებით და მალე მიიღებდნენ გადაწყვეტილებას, თუ სამომავლოდ როგორ განაგრძობდნენ ფუნქციონირებას.

17:30 საათზე გამოცხადდა შესვენება

სხდომა განახლდა 17:50 საათზე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და 3¹ პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

3. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფსიქოლოგია
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ფსიქოლოგიის ბაკალავრი 0707
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება.


სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

ცენტრის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სხდომაზე ტელეფონით ჩაერთვებოდა ექსპერტთა ჯგუფის წევრი, ნანა ბურდული, რომელიც საბჭოს გააცნობდა ძირითად რეკომენდაციებს.

სხდომის თავმჯდომარემ ექსპერტებს მოახსენა, რომ საბჭო იცნობდა მათ დასკვნას, მასში ასახულ რეკომენდაციებს და ჰკითხა, ხომ არ სურდათ რაიმეს დამატება პროგრამის შესახებ.

ექსპერტმა შენიშნა, რომ რეკომენდაციები ძირითადად შეეხებოდა რიგ კურსებში განსახორციელებელ ცვლილებებს, კერძოდ:

- აკადემიური წერა და საოფისე ტექნოლოგიების კურსთან დაკავშირებით: ექსპერტების შენიშვნით უნდა შექმნილიყო განცალკევებული კურსები აკადემიური წერისათვის და საოფისე ტექნოლოგიებისათვის.
- განვითარების ფსიქოლოგიასთან დაკავშირებით: ექსპერტების რეკომენდაციით კურსის სახელწოდება საჭიროებდა მოდიფიცირებასა და არჩევით ბლოკში გადატანას, შემდეგ კი ადამიანის განვითარების ახალი კურსის შეთავაზებას.



- კოგნიტურ ფსიქოლოგიასთან დაკავშირებით: ექსპერტების რეკომენდაცია გულისხმობდა პროგრამის სავალდებულო კურსების ჩამონათვალში კოგნიტური ფსიქოლოგიის კურსის ჩართვას.
- ზოგადი ფსიქოლოგიისა და ფსიქოლოგიის საფუძვლების შესახებ, ექსპერტთა რეკომენდაციის მიხედვით რეკომენდირებული იყო ზოგადი ფსიქოლოგიის კურსის ფსიქოლოგიის სპეციალობის კურსების ჩამონათვალიდან ამოღება შინაარსის დუბლირების თავიდან ასაცილებლად.
- განვითარების ფსიქოლოგიისა და განწყობის ფსიქოლოგიის შესახებ რეკომენდებული იყო სხვა კურსების შინაარსების დუბლირების თავიდან ასარიდებლად, განვითარების ფსიქოლოგიის შინაარსის მოდიფიცირება.
- კვლევითი ნაშრომისა და საბაკალავრო ნაშრომის შემთხვევაში, რეკომენდირებული იყო ერთ-ერთი შემაჯამებელი კურსის დატოვება პროგრამაში, რაც შექმნის თანაბარი წვდომისა და კომპეტენციების გამომუშავების პირობას.
- განვითარების ფსიქოლოგიის შემთხვევაში, რეკომენდირებული იყო, რომ აღნიშნულ კურსს წინაპირობად ჰქონოდა ფსიქოლოგიის საფუძვლები.
- მონაცემთა დამუშავებისა და ანალიზის კურსის შესახებ, რეკომენდირებული იყო კურსს წინაპირობად დაწესებოდა „სოციალური სტატისტიკა“.
- ასევე, რეკომენდაციები შეეხებოდა საკითხავ მასალებს, კერძოდ: საკითხავი მასალის შერჩევა ამა თუ იმ კურსისთვის ისე, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ მინიმალური საჭირო კომპეტენცია მასალის წასაკითხად; ასევე, რეკომენდირებული იყო მასალების გადახედვა და კვლავ განახლება ქართულ და ინგლისურ ენებზე ხელმისაწვდომი მასალებით.
- დამატებით, 3.1 კომპონენტის შესახებ ექსპერტთა მიერ რეკომენდირებული იყო კონკრეტული, ქმედითი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება პროგრამის ფარგლებში ინტერნაციონალიზაციის ღონის ასამაღლებლად.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული სამუშაოსათვის. მან აღნიშნა, რომ პროგრამა პირველად აკრედიტებულ იყო 2013 წელს და მაშინ მიცემული რეკომენდაციების მიხედვით მათ დახვეწეს და გააუმჯობესეს პროგრამა. მან აღნიშნა, რომ ძირითადი აქცენტი იყო პროგრამაში ზოგად ფსიქოლოგიაზე და ასევე განწყობის ფსიქოლოგიაზე, როგორც ფსიქოლოგიის ქართულ სკოლაზე. ასევე, მისი თქმით ისწავლებოდა თანამედროვე ევროპული ფსიქოლოგიური მიმართულებებიც, როგორც იყო გემტალტი. მისი თქმით, დაწესებულების წარმომადგენლებმა გაიაზრეს რეკომენდაციები და პირველი მათგანის შესახებ მან აღნიშნა, რომ ეს საგანი იყო უნივერსიტეტის ყველა პირველკურსელი სტუდენტისათვის სავალდებულო. კოგნიტური ფსიქოლოგიის შესახებ რეკომენდაციის შესახებ მათ აღნიშნეს, რომ უკვე აპირებდნენ საგნის ამ დასახელებით შეთავაზებას. განვითარების ფსიქოლოგიის შესახებ მან აღნიშნა, რომ გადაწყვიტეს, რომ ეს უკანასკნელი გადავიდოდა არჩევით ბლოკში და ფსიქოანალიზი გადმოვიდოდა მის ადგილას.

სხდომის თავმჯდომარემ, ლევან გორდეზიანმა იკითხა, თუ რა განსხვავება იყო საბაკალავრო და კვლევით ნაშრომებს შორის.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ შინაარსობრივად არ არსებობდა განსხვავება, თუმცა საბაკალავრო ნაშრომის შემთხვევაში ხდებოდა საჯარო დაცვა, კვლევითში

კი მხოლოდ პედაგოგის წინაშე ხდებოდა დაცვა. მან აღნიშნა, რომ კურსების შესახებ უკვე მიმდინარეობდა უნივერსიტეტში მსჯელობა და იყო ვერსია, რომ მხოლოდ ერთი მათგანი ექციათ სავალდებულოდ და მისი აზრით ისინი კვლევით ნაშრომს აირჩევდნენ.

ამასთან დაკავშირებით, საბჭოს წევრმა, გელა გელაშვილმა შენიშნა, რომ უფრო ლოგიკურად ეჩვენებოდა, რომ საბაკალავრო ნაშრომი ყოფილიყო სავალდებულო, რადგან სწავლის მომდევნო საფეხურებზეც მათ მოუწევდათ საჯარო მოხსენებების გაკეთება და უმჯობესი იქნებოდა, თუ ამ დროს დაიწყებდნენ.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ გაითვალისწინეს ექსპერტთა რეკომენდაციები რიგი კურსების წინაპირობებთან დაკავშირებით. ლიტერატურასთან დაკავშირებით კი მან ასევე აღნიშნა, რომ აქტიურად იწერებოდა უნივერსიტეტის პედაგოგების მიერ ახალ-ახალი სახელმძღვანელოები, რომლებიც შემდეგ შემოდიოდა სასწავლო მასალებად.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჯანიძემ დასაზუსტებლად იკითხა, თუ რა ცვლილება მოხდა განვითარების ფსიქოლოგიის კურსთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ისინი დაეთანხმნენ რეკომენდაციას და შესაბამისად აპირებდნენ გადაეტანათ განვითარების ფსიქოლოგია სავალდებულოდან არჩევით ბლოკში.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჯანიძემ განვითარების ფსიქოლოგიის კურსთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ძირითად ლიტერატურაში მითითებული იყო კონსპექტი, მაშინ როცა არსებობდა ამ მიმართულებით ქართულად ნათარგმნი სახელმძღვანელოები. მან აღნიშნა, რომ უკეთესი იქნებოდა, თუკი ის მაინც იქნებოდა აღნიშნული, თუ რა ლიტერატურას ეფუძნებოდა მოცემული კონსპექტი. ასევე, მან აღნიშნა, რომ დასაქმების სფეროებად მითითებული იყო სკოლამდელი დაწესებულებები და სკოლა და აღნიშნა, რომ უკეთესი იქნებოდა თუკი ამ მიმართულებითაც იქნებოდა საგნები შეთავაზებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ფსიქოთერაპიული მიმართულებები იყო შეთავაზებული სტუდენტებისათვის პრაქტიკული მუშაობის თვალსაზრისით.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჯანიძემ აღნიშნა, რომ სკოლის სპეციფიკა იყო განსხვავებული და აღნიშნა, რომ მაგალითად უმჯობესი იქნებოდა, თუ პროგრამას თან ერთვისოდა მაგალითად რთული ქცევის მართვის კურსი.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ეს საკითხები შედიოდა ფსიქოთერაპიულ მიდგომებში, სადაც სიღრმისეულად სწავლობდნენ ამ საკითხებს და მისი თქმით, ექსპერტებმაც დადებითად შეაფასეს ამ თერაპიული კურსების პრაქტიკულობა.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა იკითხა, იყო თუ არა ქართული ფსიქოლოგიური სკოლა გასული საზღვარგარეთ.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ პოსტ-საბჭოთა სივრცეში განწყობის ფსიქოლოგიას კარგად იცნობდნენ, ხოლო დიმიტრი უზნაძის გარკვეული წიგნები კი იყო ნათარგმნი რამდენიმე ევროპულ ენაზეც.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჯანიძემ აღნიშნა, რომ თავად შეესწრო კონფერენციის დროს შვეიცარიაში, რომ უამრავმა უცხოელმა სპეციალისტმა იცოდა დიმიტრი უზნაძისა და განწყობის თეორიის შესახებ.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა შენიშნა, რომ დასავლეთშიც უნდა არსებულიყო განწყობის ფსიქოლოგიის შესახებ ინფორმაცია და დაინტერესდა, თუ რისი ბრალი უნდა ყოფილიყო ის საკითხი, რომ განწყობის ფსიქოლოგიას აღარ ჰქონია განვითარება და ახალი ცოდნის დაფუძნება აღარ მომხდარა მასზე, მაშინ, როდესაც რუსული სკოლა და მაგალითად ვიგოცკის შრომები დიდი საერთაშორისო პოპულარობით სარგებლობდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს იმის ბრალი უნდა ყოფილიყო, რომ საქართველო და ქართული ენა არ არის ისეთი ფართო, როგორც რუსული.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა შენიშნა, ამ მიმართულების გასაძლიერებლად საჭირო იყო ახალი პუბლიკაციების შექმნა როგორც ქართულ ისე ინგლისურ ენებზე და მათი გამოქვეყნება მაღალი დონის აკადემიურ ჟურნალებში.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ აღნიშნა, რომ არ მიაჩნდა მართებულად, რომ ესწავლებინათ განწყობის ფსიქოლოგია 2 სემესტრის განმავლობაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს მიმართულება არ იყო მოძველებული და ისეთ მდგომარეობაში იმყოფებოდა, როგორც სხვა ფსიქოლოგიური თეორიები და საკუთარ მაგალითზე აღნიშნა, რომ პრაქტიკაში ახდენდა განწყობის თეორიის შერწყმას თავის თერაპიულ საქმიანობასთან.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ იკითხა ისწავლებოდა თუ არა ფსიქიატრიისა და ფარმაცოთერაპიის საკითხები პროგრამაში, რადგან ხშირი იყო მის გამოცდილებაში ფსიქოლოგიით უკმაყოფილების შემთხვევები.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ყველა ფსიქოლოგი არ არის ფსიქოთერაპევტი. საბაკალავრო დონის სტუდენტები კი გადიოდნენ პრაქტიკას გლდანის ფსიქიატრიულ კლინიკაში.

18:40 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა განახლდა 19:00 საათზე

საბჭოს გადაწყვიტა, რომ აკრედიტაციის დებულების 27⁵ მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე, პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების კანონიერი ინტერესებისა და უფლებების გათვალისწინებით, მიზანშეწონილი იყო, რომ აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2018 წლის 19 ნოემბრიდან, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო პროგრამის სტატუსის უწყვეტობა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და 3¹ პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-7 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2018 წლის 19 ნოემბრიდან.

საბჭომ დაწესებულებას ექსპერტთა ჯგუფისა და საბჭოს წევრების მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად განუსაზღვრა 6 თვე.

საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი ელიზბარ ელიზბარაშვილი. შესაბამისად, მან განაგრძო საბჭოს სხდომის ხელმძღვანელობა.



4. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების მენეჯმენტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლედ აღწერა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ხელოვნების მენეჯმენტი
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	მენეჯმენტის დოქტორი (ხელოვნების მენეჯმენტში) 0203
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180

საბჭოს წევრმა, ნატო გენგიურმა განსახილველ საკითხთან მიმართებით განაცხადა თვითაცილება, ვინაიდან საქმიანობდა აკრედიტაციის მამიებელ უნივერსიტეტში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტებს მოახსენა, რომ საბჭო იცნობდა მათ დასკვნას, მასში ასახულ რეკომენდაციებს და ჰკითხა, ხომ არ სურდათ რაიმეს დამატება პროგრამის შესახებ.

ექსპერტმა გააცნო რეკომენდაციები, რომლებიც შეეხებოდა შემდეგ საკითხებს:

- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების გადახედვის საჭიროებას, რათა გახდეს უფრო თანმიმდევრული და ასახოს პროგრამის სწავლის ყოვლისმომცველი მიზნები პროგრამის შესაბამის დონეზე.
- პროგრამის სწავლის შედეგების გამლიერებას ა) იმ სფეროში, რომელიც ეხება კურსდამთავრებულთა უნარს, შეძლონ საერთაშორისო გარემოში ფუნქციონირება და ბ) იმ უნარების ასახვაში, რომელსაც პროგრამა ავითარებს კურსდამთავრებულებში, რათა მოამზადოს ისინი აკადემიური კარიერისათვის.
- იმ შინაარსის შემცირებას, რომელიც მხოლოდ საკანონმდებლო ინფორმაციას ეხება და არ აქვს სამეცნიერო შემოქმედებითი კომპონენტი
- „კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიის“ საგნის გაუმჯობესებას ისე, რომ იგი მოიცავდეს კვლევისათვის მეტად შესაფერის მეთოდოლოგიებს მენეჯმენტის დარგში

- აქტივობის: „უცხოური ლიტერატურის რელევანტური თარგმანის წარდგენა კვლევითი თემის ფარგლებში ან მოცემული ლიტერატურის განხილვა“ გადახედვა, რათა დაწესებულება დარწმუნდეს, რომ სტუდენტები უზრუნველყოფენ ნათარგმნი ნაშრომების კრიტიკულ განხილვას ან კრიტიკულ ანგარიშს.
- სავალდებულო ლიტერატურის გადახედვასა და განახლებას თითოეულ საგანში, ასევე ლიტერატურის გამდიდრებას სამეცნიერო სტატიებით.
- კანდიდატების მიერ ნაშრომის ინგლისურ ენაზე გამოქვეყნების მოთხოვნის დადგენას და მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალების სიის დადგენას, რომლებშიც სტუდენტებმა შეიძლება გამოაქვეყნონ ნაშრომები.
- პროგრამაში ჩართული სამეცნიერო პერსონალის მიერ სამეცნიერო აქტივობების გაზრდის მიზნით მათი წახალისებისა და გადამზადების საჭიროებას.
- აკადემიური პერსონალის რაოდენობის ზრდას, რომლებიც ინგლისურ ენაზე აქვეყნებენ ნაშრომებს შესაბამის საერთაშორისო ჟურნალებში.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამას ჰქონდა დიდი მნიშვნელობა უნივერსიტეტისათვის, რადგან უნივერსიტეტს ჰქონდა ხელოვნების მენეჯმენტის პროგრამები უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე. მან აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებდა პირველ რეკომენდაციას. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა შეიმუშავა პროგრამის სწავლის შედეგების გაზომვის ახალ სქემები.

საბჭოს წევრმა, ირინა გოცირიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სწავლის შედეგების შეფასების სქემაში ვერ დაინახა კომპონენტობრივი შეფასება.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი მოცემულ პერიოდშიც ბევრს მუშაობდა ამ საკითხზე და ამ მიმართულებით განგრძობითი გაუმჯობესების პროცესში იმყოფებოდა. მან ასევე აღნიშნა, რომ პროგრამას თან ჰქონდა დართული ანგარიშები იმის შესახებ, თუ როგორ აფასებდნენ სტუდენტები საკუთარ ცოდნას და ასევე დამსაქმებლები როგორ აფასებენ მათ.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, პროგრამის კურსდამთავრებულები დასაქმებულები იყვნენ სახვადასხვა სფეროებში მუშეუბნებში, თეატრებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში და ა.შ. მან აღნიშნა, რომ შრომის ბაზარი ბოლომდე ჰქონდა უნივერსიტეტს შესწავლილი.

სხდომის თავმჯდომარემ, ელიზბარ ელიზბარაშვილმა შენიშნა, რომ მას ნაკლებად ესმოდა, შრომის ბაზარზე ყურადღება სადოქტორო პროგრამის შემთხვევაში, მითუმეტეს მოცემულ დარგში.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ შენიშნა, რომ პროგრამაში იყო ნახსენები მნიშვნელოვანი რამ, კერძოდ ის, რომ კურსდამთავრებული იმუშავებს სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაზე კულტურის დარგში.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ რიგი დოქტორანტებისა მუშაობდა მოცემული მიმართულებით სხვადასხვა საჯარო ორგანიზაციებში.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ იკითხა, თუ რა საგნები ისწავლებოდა პროგრამაზე ამ მიმართულებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ისწავლებოდა კულტურის რესურსების მობილიზების კურსი.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ იკითხა, ბიუჯეტირების მიმართულებით თუ ასწავლიდნენ რაიმე კურსს.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ისწავლებოდა სახელმწიფო მართვის სისტემები კულტურაში.

საბჭოს წევრმა, გელა გელაშვილმა იკითხა, თუ რა ფორმალური მოთხოვნები არსებობდა დისერტაციის დაცვისათვის პროგრამაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ პირველ რიგში საჭირო იყო ახალი ცოდნის შექმნა, პრობლემის დასმა და გადაჭრა, კვლევითი პრაქტიკული ნაშრომის შექმნა. ინტერნაციონალიზაციის კუთხით ნაშრომი გადიოდა საერთაშორისო ექსპერტიზას.

სხდომის თავმჯდომარემ, ელიზბარ ელიზბარაშვილმა იკითხა, თუ რას მოიცავდა პროცედურულად საერთაშორისო ექსპერტიზა.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ დოქტორანტს ევალებოდა რეგულირებად ჟურნალში 3 პუბლიკაციის გამოქვეყნება. ასევე, მან აღნიშნა, რომ ნაშრომის აბსტრაქტი ინგლისურ ენაზე ეგზავნებოდა საერთაშორისო ექსპერტს.

სხდომის თავმჯდომარემ, ელიზბარ ელიზბარაშვილმა შენიშნა, რომ რთულად წარმოედგინა როგორ უნდა გაეწია საერთაშორისო ექსპერტს ექსპერტიზა ქართულენოვანი დისერტაციისათვის მხოლოდ აბსტრაქტის ხარჯზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ იგულისხმებოდა გაფართოებული აბსტრაქტი, რომელიც შეიცავდა ძირითად მიგნებებსა და დასკვნებსაც. მან აღნიშნა, რომ ინტერნაციონალიზაციას დაწესებულება აღიქვამდა როგორც სერიოზულ გამოწვევას და ამ მიმართულებით განვითარება იყო სტრატეგიული განვითარების გეგმის ნაწილი.

სხდომის თავმჯდომარემ, ელიზბარ ელიზბარაშვილმა სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს დაეზუსტებინა პროგრამის დაფინანსების საკითხები.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, უნივერსიტეტი იღებდა დაფინანსებას კულტურის სამინისტროდან. მისი თქმით, ამ დაფინანსებაში გაწერილი იყო ყველა მიმართულება, როგორც უნდა გახარჯულიყო თანხები და ის მოიაზრებდა კვლევითი ნაწილიც, თუმცა ბოლო წლებში ამ კვლევითი მიმართულებით მოთხოვნა გაიზარდა.

სხდომის თავმჯდომარემ, ელიზბარ ელიზბარაშვილმა ითხოვა პასუხი გაეცათ ერთი დოქტორანტის თვალსაზრისით.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ფინანსების საჭიროება იდგა, რადგან თითოეული თემა რომელზეც მუშაობდნენ დოქტორანტები ძალიან მნიშვნელოვანი იყო კულტურის სფეროსათვის. ასევე, მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა შეიმუშავა ნორმატიული დოკუმენტი დოქტორანტების დაფინანსების შესახებ, მათს შორის მივლინებისათვის, პუბლიკაციისა და კონფერენციისათვის.

სხდომის თავმჯდომარემ, ელიზბარ ელიზბარაშვილმა იკითხა თუ რამდენი კურსდამთავრებული ჰყავდა პროგრამას.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ჰყავდათ 2 კურსდამთავრებული.

სხდომის თავმჯდომარემ, ელიზბარ ელიზბარაშვილმა ითხოვა დაწესებულების წარმომადგენელთაგან, რომ ესაუბრათ კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიის კურსის შესახებ, რომელთან დაკავშირებითაც ექსპერტებს ჰქონდათ გაცემული რეკომენდაცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ დაწესებულება სთავაზობდა ორ კურსს ამ მიმართულებით, ერთ იყო აკადემიური წერა და კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგია, რომელსაც სწავლობდნენ სამაგისტრო საფეხურზე და დოქტორანტები მხოლოდ იმ შემთხვევაში იღებდნენ ამ კურსს, თუ მათ უკვე არ ჰქონდათ იგი გავლილი სამაგისტრო საფეხურზე. ხოლო მეორე კრუსი, კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგია: თეორიული და ემპირიული კვლევა, რომელიც სავალდებულოა ყველასათვის. პირველი, მისი თქმით აქცენტირებულია აკადემიური წერის ძირითად პრინციპებზე, მეორე კი ძირითადად კვლევით საკითხებს.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამა იყო ინტერდისციპლინური და ყოველთვის არსებობდა ორი თანახელმძღვანელის საჭიროება, რადგან ერთდროულად მიდიოდა როგორც მენეჯმენტის ისე კულტურის მიმართულების კვლევები.

19:40 საათზე გამოცხადდა შესვენება

სხდომა განახლდა 19:50 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების მენეჯმენტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3¹ პუნქტის, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისი N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების მენეჯმენტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 6 თვე ექსპერტთა ჯგუფისა და საბჭოს წევრების რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად.



5. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი, 07
სწავლების ენა	ქართული ¹
კრედიტების რაოდენობა	240

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დამსწრე საზოგადოებას, ხომ არ სურდათ აცილების შესახებ შუამდგომლობის დაყენება. საბჭოს წევრმა, ლევან გორდეზიანმა განაცხადა თვითაცილების შესახებ. სხვა შუამდგომლობა არ დაფიქსირებულა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით დადგინდა, რომ მე-4 და მე-5 სტანდარტები სრულ შესაბამისობაში იყო მოთხოვნებთან. ასევე, სრულ შესაბამისობად შეფასდა პირველი სტანდარტი, მიუხედავად იმისა, რომ 1.2 კომპონენტის შეფასება იყო როგორც მეტწილად შესაბამისი, ხოლო მე-2 და მე-3 სტანდარტები, შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ნინო შოშიტაშვილმა წარმოადგინა. მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

➤ წარმოდგენილ პროგრამაში მისანიჭებელ კვალიფიკაციად მითითებული იყო სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით (საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N120/5) მიმართულება 07 იყო სოციალური მეცნიერებები, შესაბამისად მისანიჭებელი კვალიფიკაცია უნდა ყოფილიყო სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი. საჭირო იყო, მისანიჭებელ კვალიფიკაციაში ჩანაწერის ჩასწორება შემდეგი ფორმულირებით - სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი;

➤ პროგრამის სწავლის შედეგები მეტწილად აღწერდა იმ სწავლის შედეგებს, რასაც სტუდენტი იძენდა პროგრამის დასრულებისას, თუმცა რეკომენდებული იყო, რომ შედეგებში მკაფიოდ ასახულიყო ისეთი აუცილებელი დეტალების აღწერაც, როგორიც იყო დღევანდელი

¹ საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება რუსულენოვანი კომპონენტებით

მედია პროფესიონალისთვის თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მნიშვნელობის/გავლენის ცოდნა და მათი გამოყენების უნარ-ჩვევების ქონა. ამ ცოდნისა და უნარების გარეშე თანამედროვე კომუნიკაციების სამყაროში, მედიაში მუშაობა შეუძლებელი იქნებოდა;

- > რეკომენდებული იყო, რომ დისციპლინათა კატალოგს დამატებოდა სასწავლო კურსი „ახალი მედია“, რომლის ფარგლებშიც, სტუდენტი გამოიმუშავებდა თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებისა და მულტიმედიურ რედაქციებში სრულფასოვნად მუშაობის უნარებს;
- > სასწავლო კურსებში გაძლიერებულიყო საზოგადოებასთან ურთიერთობის, მარკეტინგული კომუნიკაციებისა და რეკლამის თემატიკა;
- > დისციპლინების - „ტელემედია“, „საგამოძიებო ჟურნალისტიკა“, „ახალი ამბების ჟურნალისტიკა“, „Новостная журналистика“ - სილაბუსებიდან ამოღებულიყო გასული საუკუნის, იდეოლოგიზირებული, რუსულენოვანი ან რუსული ენიდან თარგმნილი სახელმძღვანელოები. მით უმეტეს, რომ ამ პროფესიულ საგნებში ორივე ენაზე - ქართულადაც და რუსულადაც არსებობდა თანამედროვე ლიტერატურა;
- > რეკომენდებული იყო ლიტერატურის განახლება შემდეგ სილაბუსებში: ჟურნალისტიკა მასობრივ კომუნიკაციის სისტემებში; რეკლამა და ხატოვანება; სამაუწყებლო რადიო 1, 2; გამოჩენილი ჟურნალისტები აშშ ჟურნალისტიკაში; გაზეთის - პრაქტიკული კურსი. სტრატეგიული პოლიტიკური კომუნიკაცია და საზოგადოებასთან ურთიერთობები მედიაში; თვითმენეჯმენტი, Стратегическая политическая коммуникация и ПР в СМИ; Реклама и образность; Этика и стандарты профессиональной ответственности; Анализ и точка зрения в журналистском произведении;
- > რეკომენდებული იყო, პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულიყო ქართული და რუსული ენების ცოდნა - B1 დონის შესაბამისად;
- > პროგრამის სწავლების ენის განსაზღვრისთვის, მკაფიოდ გამიჯნულიყო კონკრეტულად რომელ ენებზე ხორციელდებოდა სასწავლო კურსები.
- > სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებდა: სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას, შუა სემესტრულ რეიტინგულ შეფასებას და სემესტრის საბოლოო გამოცდის შეფასებას. ამიტომ რეკომენდებული იყო, საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის განხორციელების კონკრეტული ეტაპები და შეფასების კრიტერიუმები სილაბუსით ყოფილიყო ასახული.
- > რეკომენდებულ იყო, რომ ფაკულტეტს ხელი შეეწყო პროგრამაში ჩართული სტუდენტების საერთაშორისო გაცვლით პროგრამებზე რეალურ წვდომასა და მათში მონაწილეობისათვის.

ექსპერტმა მიღების წინაპირობასთან დაკავშირებით, დამატებით განმარტა, რომ პროგრამაში გათვალისწინებული იყო ქართული კურსები, მაგრამ არ ჩანდა, რომელი მიმდინარეობდა რუსულ და რომელი ქართულ ენაზე.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ გამოთქვა მოსაზრება, რომ ქართულის B1 დაბალი დონე იყო და გაუჭირდებოდათ სტუდენტებს ამ დონით ენის ათვისება.

ექსპერტმა, ნინო შოშიტაშვილმა აღნიშნა, რომ ქართული ენა კარგად არ იყო წარმოდგენილი და სტუდენტების უმრავლესობა ირჩევდა რუსულ ენას.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, ირმა გრძელიძემ განაცხადა, რომ პროგრამა გადიოდა რეაკრედიტაციაზე, თავდაპირველად, პროგრამა სრულად რუსულენოვანი იყო, რეაკრედიტაციაზე შემოტანის დროს კი მოდიფიცირდა, ახლა იყო ქართულენოვანი პროგრამა

რუსულენოვანი კომპონენტებით, რაზეც სამინისტროს თანხმობაც არსებობდა. პროგრამა სპეციფიკური იყო სამიზნე ჯგუფთან დაკავშირებით - ესენი იყვნენ დსთ-ს ქვეყნებში მცხოვრები ქართველები, ვინც რუსული კარგად იცოდნენ და უნივერსიტეტში ირიცხებოდნენ, როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქეები. სტუდენტების დაახლოებით 1/3 მოდიოდა ერთიანი ეროვნული გამოცდებით. პროგრამა მიზნად ისახავდა ამ სტუდენტების ინტეგრაციას ქართულ სივრცეში. მანამდე არსებულ პროგრამაში ქართული ენა საერთოდ არ არსებობდა, ახლა კი ისე იყო აგებული, რომ 1 წლიდან იწყებდნენ რუსულენოვანი კურსებით და პარალელურად სწავლობდნენ ქართულ ენას. მას შემდეგ, რაც გაუძლიერდებოდათ ქართული ენის კომპეტენცია, პროგრამაში შემოდიოდა ქართულენოვანი კურსები.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ ექსპერტების ბევრ რეკომენდაციას ეთანხმებოდნენ, ხოლო რაც შეეხებოდა წინაპირობის ჩადებას, მათი მოსაზრებით, თუ მოსთხოვდნენ ქართული ენის ბ1 დონეს, შეიძლება ვერ დაეკმაყოფილებინათ სტუდენტებს ეს მოთხოვნა, პროგრამა ზუსტად ქართული ენის ათვისების ამის საშუალებას აძლევდა. ალტერნატივის სახით, შესაძლოა სამომავლოდ დაემატებინათ გასაუბრება ან მოსამზადებელი პრეკურსები ან კიდევ უფრო გაეძლიერებინათ ქართული ენის სწავლება.

სხდომის თავმჯდომარემ, ელიზბარ ელიზბარაშვილმა აღნიშნა, რომ უცხოენოვანი პროგრამის განსახორციელებლად საჭირო იყო სამინისტროს სპეციალური ნებართვა, რუსულენოვან პროგრამებზე თანხმობის მიღება მარტივად არ ხდებოდა და მისი მოსაზრებით, პროგრამის ამგვარი ლავირება წარმოადგენდა ოქროს შუალედის პოვნის მცდელობას უნივერსიტეტის მხრიდან, რათა არ დაეკარგათ კონტინგენტი. თუმცა, მან ეჭვი გამოთქვა, რომ ბ1 დონით გაუჭირდებოდათ სტუდენტებს ქართულენოვანი კურსების დაძლევა.

პროგრამის ხელმძღვანელმა უპასუხა, რომ პრაქტიკაში, სტუდენტები იყვნენ ეთნიკურად ქართველები, ვისაც განათლება რუსულ სკოლებში ჰქონდათ მიღებული, მაგრამ ოჯახებში სასაუბრო ენა იყო ქართული. დევნილთა მეორე თაობას წარმოადგენდნენ, ვინც დსთ-ს ქვეყნებში დაიბადა, გაიზარდა და სურდა სამშობლოში დაბრუნება. მოტივაცია მაღალი ჰქონდათ, შესაძლოა, ქართული სერტიფიცირებულ დონეზე არ სცოდნოდათ, მაგრამ ესმოდათ და კითხულობდნენ ქართულად. თუმცა, ისეთებიც ჰყავდათ, ვისაც არც საუბრის პრაქტიკა ჰქონდა და არც წერა-კითხვა იცოდა ქართულად, მაგრამ ასეთი სტუდენტი ძალიან ცოტა იყო. მან დაამატა, რომ ყველა სავალდებულო კურსს ისწავლებოდა ორივე ენაზე და 1.5 წელი დასჭირდათ სილაბუსების შესადგენად, რათა არჩევანი ჰქონოდა სტუდენტს. გარდა ამისა, პროგრამა არ იყო სრული ანალოგი ქართულენოვანი პროგრამისა, რუსულენოვანში რეკლამა, PR, სტრატეგიული კომუნიკაციები მიეწოდებათ უფრო კონცენტრირებულად და არა დარგობრივად, ქართულენოვანი პროგრამისგან განსხვავებით, შესაბამისად, სწავლების პრინციპიც განსხვავდებოდა, რათა გაადვილებოდათ დასაქმება კურსდამთავრებულებს. საბჭოს წევრი, გიორგი ქვარცხავა დაინტერესდა, სად საქმდებოდნენ პროგრამის კურსდამთავრებულები.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ისინი მუშაობას იწყებდნენ ონლაინ სააგენტოებში, რეგიონულ ტელეკომპანიებში, მაგალითად სამცხე-ჯავახეთში, სარეკლამო კომპანიებში, პრესსამსახურებში, კერძო კომპანიებში. საქმდებოდნენ სფეროში ან მომიჯნავე პროფესიებში.

ელიზბარ ელიზბარაშვილმა აღნიშნა, რომ მძიმე რეკომენდაცია იყო ლიტერატურასთან დაკავშირებით. ის ეთანხმებოდა ექსპერტების მოსაზრებას და მიაჩნდა, რომ ამ ლიტერატურით სწავლება არ იყო მიზანშეწონილი და მნიშვნელოვნად უნდა გადამუშავებულიყო ეს ნაწილი.

პროგრამის ხელმძღვანელმა უპასუხა, რომ ამ რეკომენდაციას იზიარებდნენ და არც თვითონ მიაჩნდა სწორად რეკლამის კურსში 1997 წლის გამოცემით სწავლება, თუმცა ეს იყო პედაგოგების არჩევანი, ვინც ხელმძღვანელობდა კურსს. ამის გამოსასწორებლად, მათ უკვე ჰქონდათ ახალი სახელმძღვანელოების შედგენილი სია და უახლოეს მომავალში გამოიწერდნენ.

ექსპერტმა, ნინო შოშიტაშვილმა დაამატა, რომ ეს რეკომენდაცია არ ეხებოდა ყველა სილაბუსს, მაგალითად მასკომუნიკაციისა და დარგობრივ ნაწილში ლიტერატურა სრულად აკმაყოფილებდა თანამედროვე მოთხოვნებს.

ირმა გრძელიძემ აღნიშნა, რომ ცვლილებები ბევრ კურსს შეეხო და მუშაობა ამ მიმართულებით გრძელდებოდა. თუმცა, საჭირო იყო სილაბუსების ავტორებთან მუშაობა და შეთანხმება სილაბუსების ცვლილებაზე.

სხდომის თავმჯდომარემ, ელიზბარ ელიზბარაშვილმა განაცხადა, რომ ესეც წარმოადგენდა პრობლემას, როდესაც პედაგოგები ირჩევდნენ აღნიშნულ ლიტერატურას და მათი არჩევანი იყო, ადამიანების შეხედულებებთან მუშაობა უფრო რთული იქნებოდა.

უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ნამდვილად გაიზიარებდნენ რეკომენდაციას ლიტერატურის განახლებასთან დაკავშირებით, იგეგმებოდა საკადრო ცვლილებებიც და აღნიშნული პრობლემა არაუგვიანეს 2020 წლისთვის სრულად აღმოიფხვდებოდა. გარდა ამისა, მათ ხაზი გაუსვეს, რომ ეს საკითხი არ იდგა მაპროფილებელი საგნების ფარგლებში და უშუალოდ სწავლის შედეგებზე გასვლას არ აყენებდა ეჭვქვეშ.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ გამოთქვა მოსაზრება, რომ კარგი იქნებოდა ზოგადი განვითარების საგნების დამატება, რადგან უნივერსიტეტში მოდიოდა 17 წლის პირი. მაგალითად, შეიძლებოდა ესწავლებინათ ლიტერატურა, ფილოსოფია და ა.შ. მით უმეტეს, ჟურნალისტებს განსაკუთრებით სჭირდებათ ძლიერი ზოგადი განათლების მიღება. ნათელა სახოკიამ დაამატა, რომ ჟურნალისტებს ბევრი პრობლემა ჰქონდათ: არ შეეძლოთ მოსმენა, კითხვის დასმა, ქართული ენის კომპეტენცია დაბალ დონეზე იყო, ასევე არ ესმოდათ, რას ელაპარაკებოდა რესპონდენტი, ჟურნალისტებს თავიანთი დღის წესრიგი ჰქონდათ და იმას მიჰყვებოდნენ, ასევე იკვეთებოდა თანაგრძნობის, ეთიკის პრობლემები. შესაბამისად, ნათელა სახოკიას მიაჩნდა, რომ საჭირო იყო ზოგადი კურსების შეთავაზება, ასევე ფილმების ჩვენება, რაც ღირებულებების ნაწილს გააძლიერებდა სტუდენტებში.

პროგრამის ხელმძღვანელმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრს რჩევისთვის, მან აღნიშნა, რომ ასეთი საგნები თავისუფალი კრედიტების სახით არსებობდა, ასევე ჰქონდათ კონკრეტული საგანი, რომელიც ითვალისწინებდა ფილმების ჩვენებასაც, ღირებულებებს, ექსპერტიმენტებს და გაითვალისწინებდნენ ამ რჩევებსაც.

უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის უფროსმა, ირმა გრძელიძემ დაამატა, რომ პროგრამას გამორჩეული სტუდენტები ჰყავდა, მოდიოდნენ იმ შეთავაზების გამო, რასაც უნივერსიტეტი სთავაზობდა მათ. ეს იყო ერთადერთი პროგრამა დაწესებულებაში, გარდა ფილოლოგიისა, სადაც რუსულენოვანი კომპონენტი იყო გათვალისწინებული. პრაქტიკაში, ყველას შეეძლო ქართულად საუბარი და ეს ვიზიტზეც დადასტურდა.

ექსპერტმა, ნინო შოშიტაშვილმა აღნიშნა, რომ ახალი მედია სუსტად იყო წარმოდგენილი, მაგრამ თუ გაძლიერდებოდა პროგრამაში, ასეთი კადრებით შესაძლებელი იქნებოდა არსებულ პოლიტიკასთან დაპირისპირება.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ პროგრამაზე სტუდენტთა რაოდენობით.

პროგრამის ხელმძღვანელმა უპასუხა, რომ ამჟამად იყო 22 სტუდენტი, რადგან ნაწილი გადავიდა სხვა პროგრამაზე იმის გამო, რომ პროგრამა რეაკრედიტაციის რეჟიმში იმყოფებოდა.

გასულ წელს მიიღეს 36 სტუდენტი, საიდანაც 20 ეროვნული გამოცდებით იყო მოსული, 16 კი როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქე. მიღების დინამიკა მზარდი იყო.

სხდომის თავმჯდომარემ, ელიზბარ ელიზბარაშვილმა კითხვით მიმართა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს, ორ ენაზე შეთავაზებული კურსების ადმინისტრირება პროცედურულად როგორ ხდებოდა.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სტუდენტები თავად ირჩევდნენ, რომელ ენაზე აირჩევდნენ კურსს. ცალ-ცალკე ეკითხებოდათ ქართულ და რუსულ ენებზე, სხვადასხვა ლექტორი უძღვებოდა კურსს. სავალდებულო საგნები ამ და ქართულენოვან პროგრამას ჰქონდათ ანალოგიური, შესაბამისად, ქართულ ენაზე კურსის გავლის ინტერესის შემთხვევაში, სტუდენტი შეუერთდებოდა ქართულენოვანი პროგრამის სტუდენტებს. თუმცა პროგრამა ზუსტად რუსულენოვანი კომპონენტით იზიდავდა სტუდენტებს.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლომჯანიძემ განაცხადა, რომ ამ თაობის სუსტი მხარე იყო რუსული ენის არცოდნა. ნათელა სახოკიაც დაეთანხმა ამ მოსაზრებას და დაამატა, რომ რუსული მაინც იყო საკომუნიკაციო ენა, საზღვარგარეთ რამდენიმე უცხო ენას ფლობდნენ და კარგი იქნებოდა, საქართველოშიც ორივე ენა - რუსულიცა და ინგლისურიც სცოდნოდათ ახალგაზრდებს.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, ირმა გრძელიძემ განაცხადა, რომ პროგრამით ინტერესდებოდნენ რუსულენოვანი პირები, ვისი სუსტი წერტილიც იყო ქართული ენა. ეროვნულ გამოცდებს მართალია ქართულ ენაზე აბარებდნენ, მაგრამ ბარიერი არ იყო დადგენილი და შეიძლებოდა 15 ქულითაც ჩარიცხულიყვნენ პროგრამაზე. უცხო ენად კი აბარებდნენ რუსულს.

პროგრამის ხელმძღვანელმა დაამატა, რომ სტუდენტები მოდიოდნენ ჩრდილოკავკასიიდან, მათ მიაჩნიათ, რომ თბილისი იყო მათი განათლების კერა. მაგალითად, ჰყავდათ ინგუშები, რომლებმაც ქართული ისწავლეს და თავს ქართველებად მიიჩნივეს.

20:30 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა განახლდა 20:50 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და 3¹ პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

დაწესებულებას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ცენტრში ანგარიშის წარმოსადგენად განესაზღვროს 1 წელი. ასევე, საბჭომ ცენტრს მიმართა შუამდგომლობით, რომ პროგრამაზე 1 წლის განმავლობაში განხორციელებულიყო მონიტორინგი, რომლის ფარგლებშიც, გადამოწმდებოდა თუ რამდენად შეასრულა დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფისა და საბჭოს წევრების მიერ მიცემული რეკომენდაციები.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ, 20:50 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
ლევან გოდეზიანი

ელიზბარ ელიზბარაშვილი

მდივანი
ნათელა სახოკია

